ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 45 (6856)

4 1981 წ. მარტი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1981 წლის 3 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა ერთსულოვნად აირჩია ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

პლენუმმა ერთსულოვნად აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით.

პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ, კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩიეს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მ. ა. სუსლოვი, ა. პ. კირილენკო, კ. უ. ჩერნენკო, მ. ს. გორბაჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხ. ა. ი. პელშე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის შესახებ

3 მარტს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის საბოლოო სხდომა. დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი დ. თ. უსტინოვი აცხადებს პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგებს.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ყრილობის დელეგატები ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად ერთხმად აირჩიეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ყრილობა გულთბილად ხვდება ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების არჩევის შესახებ.

შემდეგ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ყრილობის განახლებულ სხდომაზე თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დელეგატებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმის შედეგებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პლენუმზე ერთსულოვნად აირჩიეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ამ ცნობას დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, დაამტკიცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ თავის სხდომაზე აირჩია კომისიის თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობის დახურვისას წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დელეგატებმა და სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის წარმოთქმის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში დიდხანს არ წყდება ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — ვაშა!“, „გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!“, „ვაშა!“, „დიდება! დიდება! დიდება!“.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას დახურულად აცხადებს.

დიდი აღფრთოვანებით დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნ „ინტერნაციონალს“.

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები საქართველოს პარტიული ორგანიზაციიდან.

საქდეპ-საქინფორმის ტელეფოტო.

ახალი რუბრიკა:

„თქვენთან ერთად ნაფიქრალი“

3. რა გვიჩვენა გამოკითხვამ?



ხიმართლე გითხრათ არ მეგონა, თუ ანკეტის ის კითხვები, რომელიც „დიდ სპორტსა“ და გულშემატკივრებს შეეხებოდა, ამდენ მასალას დაგვიგროვებდა, ამდენ თავსატეხსა და საფიქრალს გაგვიჩენდა, გაგვახსენებდა სპორტის ამა თუ იმ სახეობის წარმოშობის ისტორიას, გულშემატკივრობის ისტორიას...

პირველ რიგში იმ სურვილებს, შენიშვნებს, რჩევებსა და საყვედურებს გაგაცნობთ, რომელიც ანკეტური და ზეპირი გამოკითხვების შედეგად დაგვიგროვდა.

ჩვენი კითხვები ასეთი იყო:

რა არის საჭირო იმისთვის, რომ თითოეული სპორტული ღონისძიება, შეჯიბრება ნამდვილ დღესასწაულად იქცეს?

რატომ დადის მაყურებელი სტადიონზე, სპორტის სასახლეში?..

გაკმაყოფილებთ თუ არა დღევანდელი გულშემატკივრობის დონე?

რატომ არ დადიან ქალები სტადიონზე?

როგორ ემსახურებიან მაყურებელს?

პასუხები კი ასეთია:

— სპორტი რომ დღესასწაულად იქცეს, საჭიროა საყვარელმა გუნდმა ან სპორტსმენმა გაიმარჯვოს, მაყურებლის გამარჯვებაც ეს იქნება! გაიხსენეთ თბილისის „დინამოს“ ის დიდი წარმატებები, როცა ბედნიერი გულშემატკივრები ქუჩაში დროშებით დადიოდნენ!

— უპირველეს ყოვლისა — ბილეთები გადამყიდველების ხელში არ უნდა ხვდებოდეს! საიდან, რა გზებით იგდებენ ხელთ ნაძირალები ბილეთებს?

— ყოველი სპორტული ღონისძიება რომ დღესასწაულად იქცეს, ამისათვის სპორტსმენების მომზადების უმაღლესი დონეა საჭირო.

— როგორ შეიძლება სადღესასწაულო განწყობაზე ილაპარაკო, როცა სპორტის სასახლეში წლების მანძილზე ტაბლო ვერ გამოუცვლიათ, თუ ანგარიშმა 100 გადააჭარბა, ტაბლოზე იწერება არა 101, არამედ 01 (!).

—მე პირადად ფეხბურთის სტადიონის სალაროსთან დილის 4 საათზეც კი ჩავმდგარვარ ბილეთის რიგში, მაგრამ ვერ მიყიდია. დაწესებულებაში კი ბილეთები ზოგჯერ „ჩვენამდე“ არ აღწევს. უფრო მეტი ბილეთები რომ გაყიდონ სალაროში, ვითომ რა დაშავდება?

— გულით მინდა ვიარო სტადიონზე, მაგრამ მოხუცი თუ ახალგაზრდა იქ მისულ ქალს რატომღაც ალმაცერად უყურებს!

— კალათბურთის ბილეთი რომ იშოვო, დიდი ვაჟკაცობა გინდა!

— სტადიონზეც და სასახლეშიც მომსახურების დონე დაბალია...

— კარგი იქნება, რომ ფეხბურთის ან კალათბურთის თამაშის დღეს „დინამოს“ სტადიონზე და სპორტის სასახლეში იყიდებოდეს ალმები „დინამოს“ ემბლემით და სხვა სუვენირები. ყველაფერი ეს სასპორტო მაღაზიაში არის, მაგრამ თამაშის დღეს, უშუალოდ სტადიონზე ან სპორტის სასახლეში შეძენილ სუვენირს სულ სხვა ელფერი ექნება.

— სასახლეში და სტადიონზე ბუფეტს და ნაყინის გამყიდველს ვერ მიეკარები, აუარებელი ხალხი ახვევია. სტადიონზე წყურვილით რომ იხრჩობოდე, წყალს ვერ დალევ. კარგი იქნება, თუ პირდაპირ სტადიონის ტრიბუნებზე მიაწვდიან მაყურებელს ბუტერბროდს, ნაყინს და ქაღალდის 300-გრამიან ან 500-გრამიან პარკებში ჩასხმულ ხილეულის წვენს, ან უალკოჰოლო სასმელს (რძეს რომ ყიდიან, ისეთ პაკეტებში).

— ამბობენ, ქალები იმიტომ არ დადიან სტადიონზე, ლანძღვა-გინებისა ეშინიათო, ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ ქალებს არ შეუძლიათ თამაშის შემდეგ მეტროსა და ქალაქის სხვა ტრანსპორტში ჰეჭყვა! ტრანსპორტი და მეტრო კი აშკარად არ ყოფნის სტადიონიდან გამოსულ ათასობით მაყურებელს.

— სპორტული ღონისძიების წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი საწინდარი ობიექტური მსაჯობაა.

— სადღესასწაულო ელფერისთვის საჭიროა მეტი რეკლამა, საინტერესო გაფორმება, ფერები...

— ჩემი აზრით, სტადიონზე და სპორტის სასახლეში ბევრი მართლაც სპორტის სიყვარულს მოყავს, ერთი ნაწილი უსაქმურობას, ნაწილი კი მოდას აჰყოლია, საკუთარი ვარცხნილობის ან ჩაცმულობის დემონსტრირება სურს. ზოგსაც „სეირი“ აინტერესებს.

— რა იქნებოდა, რომ „დინამოს“ სტადიონის დამპროექტებლებს 80 ათასი მაყურებლისთვის 20 ტუალეტი მაინც გაეთვალისწინებინათ?

ბორის პაიჭაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, კომბინატ „დინამოს“ დირექტორი:

— დიახ, ანკეტებში მომსახურების შესახებ გამოთქმული საყვედურები ძირითადად სამართლიანია...

მაგრამ გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვართ. წლევანდელი საფეხბურთო სეზონისთვის საფუძვლიანად მოვემზადეთ. კაპიტალურად შევაკეთეთ ტაბლოები, სტადიონის განათება, მინდორი მზად არის, მთავრდება გადახურვის რემონტი. მოვაწყვეთ სტენდები სპორტული გაზეთებისა და ყველა დროის ოლიმპიელების პორტრეტების გამოსაფენად. ვითვალისწინებთ რა გულშემატკივართა დიდი ნაწილის სურვილს, ოფიციალურად მივმართავთ კვებვაჭრობის ორგანიზატორებს გაზარდონ ბუფეტების რაოდენობა სტადიონის ტერიტორიაზე და იარუსებზე. მსუბუქ საჭმელებსა და ნაყინს ტრიბუნებზე მივაწვდით მაყურებელს, ვიფიქრებთ უალკოჰოლო სასმელებისა და ხილეულის წყლების მიწოდებაზეც.

სამართლიანია გულშემატკივართა საყვედური იმის თაობაზე, რომ თამაშის დღეს სტადიონის ტერიტორიაზე არ იყიდება ალმები „დინამოს“ ემბლემით და სხვა სპორტული სუვენირები. ამისთვის არსებობს სპეციალური ჯიხურები, მაგრამ როგორც წესი, ჯიხურები ყოველთვის ცარიელია. ოფიციალურად მივმართავთ „სპორტვაჭრობის“ ხელმძღვანელობას, რომ თამაშის დღეს სტადიონის ტერიტორიაზე გაყიდონ ყველა ზემოჩამოთვლილი საქონელი. წლევანდელი ფეხბურთის სეზონის დაწყების წინ გულშემატკივრებს კიდევ ერთ სიურპრიზს ვთავაზობთ, „დინამოს“ სტადიონზე ამიერიდან იმუშავებს პრესცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სპორტულ ღონისძიებათა შესახებ ოპერატიული ინფორმაციის გემოვნებით გაფორმებული პროგრამების და ბუკლეტების გამოშვებას. პრესცენტრს დაეკისრება სხვა ფუნქციებიც, რაც ხელს შეუწყობს სპორტული ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებას. ახლავე ვიზრუნებთ ტუალეტებზეც.

და ბოლოს, ორი სიტყვა პატივცემულ გულშემატკივრებზეც მინდა ვთქვა...

ჩვენი საყვარელი გუნდის წაგება არ უნდა გასცდეს სპორტის ფარგლებს და ეროვნულ ტრაგედიად არ უნდა გადაიზარდოს. კიდევ ერთი რამ: მახსოვს, წინათ სტადიონზე მაყურებლის 40% ქალი იყო, ახლა იძულებითაც კი ვერ მოიყვან ქალებს, ეშინიათ. ამაზე მამაკაცებმა უნდა ვიფიქროთ, ქალი სტადიონის ტრიბუნებს სხვა ელფერს მისცემს, მამაკაცებსაც გაალმობიერებს და „გააკეთილშობილებს“.

მე მაინც მგონია, რომ მოგება თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ, უნდა დავგმოთ ლოზუნგი „მოგება ნებისმიერი საშუალებებით“. მე მახსოვს თამაშები წაგვიგია, მაგრამ მაყურებელი, ჩვენი თავდადებით, თავგანწირული ბრძოლით და ლამაზი თამაშით მოხიბლულა... მაინც კმაყოფილი წასულა სტადიონიდან...

საყურადღებოა **თბილისელი პედაგოგის, ნელი თევზაძის** მიერ ანკეტის კითხვებზე გაცემული პასუხები. აი, რას წერს იგი:

— თქვენ გაინტერესებთ თუ რატომ არ დადიან ქალები სტადიონზე?

მამაკაცებისთვის შექმნილა კია ყველა საჭირო პირობები, რომ ახლა ქალებსაც გვეპატიჟებით? მაყურებლის ისეთი ცუდი მომსახურების დონე, როგორც თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა, ალბათ არსად არ არის.

მე ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და არ გამიცდენია არც ერთი მატჩი, მიუხედავად ამისა, სტადიონზე მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი და ალბათ უკანასკნელად (მატჩებს ტელევიზორში ვუყურებ).

ერთხელ მეუღლემ სამსახურის შემდეგ ფეხბურთზე წამიყვანა. მე გამაოცა „დინამოს“ სტადიონის მისადგომებთან ჩახერგილმა ავტობუსებმა, რამდენიმე წყება „სასაზღვრო ზოლმა“. კონტროლიორები და მილიციელები ისეთი უკმაყოფილო სახეებით გვისინჯავდნენ ბილეთებს და გვატარებდნენ, თითქოს დიდი დანაშაული ჩავიდინეთ სტადიონზე რომ მივედით. ბოლოს როგორც იქნა სტადიონის ეზოში მოვხვდით. სამსახურიდან მისულები მოშიებულები გახლდით და გადავწყვიტეთ წაგვეხემსა. იქვე პავილიონი იყო, მაგრამ იმდენი ხალხი ესია, რომ ვერ მივეკარეთ. მიუდგომელი აღმოჩნდა ორად ორი „საველე ბუფეტიც“ (სხვათა შორის ერთ-ერთი „ბუფეტი“ ხალხმა წააქცია და ფეხებით გადათელა), გაჭირვებით მოვძებნეთ ჩვენი სექტორი და ადგილი, რომლებზეც სხვები ისხდნენ, დიდი მიწევ-მოწევის შემდეგ როგორც იქნა ჩაგვსვეს.

დამთავრდა პირველი ტაიმი და აღმოჩნდა, რომ სტადიონზე ქალების ტუალეტი არ არის. უფრო სწორად, არის, მაგრამ კაცებითაა სავსე. ალბათ არც ეს ყოფნიდა სტადიონზე მოსულ ათასობით კაცს,ვინაიდან კედლების გაყოლებით „დასჯილებივით“ იდგნენ ზურგით ჩვენსკენ მობრუნებულები (ასეთი სურათის ხილვა ნებისმიერ ქალს მოუკლავს სტადიონზე ხელმეორედ მისვლის სურვილს). მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ წვიმა წამოვიდა, მეუღლემ პიჯაკი მომახურა, მაგრამ ამან არ მიშველა, ერთი სიტყვით გვარიანად დავსველდი. წასვლა გვინდოდა, მაგრამ ისე ვიყავით „ჩაპრესილები“, რომ ადგილიდან ვერ დავიძარით. სკამი კი, რომელზეც მე ვიჯექი, ისეთი უხეში და მოუხერხებელი იყო, რომ მეუღლის ხათრით ძლივს გავძელი ზედ ორი ტაიმი.

საზღვარგარეთ მინახავს, სტადიონზე ცელოფანის ლაბადები იყიდება, ძალიან იაფი ღირს, იყიდება აგრეთვე სინთეთიკური ბალიშებიც. იყიდება ამა თუ იმ საკლუბო გუნდის ალმები, ბაირაღები, ყელსახვევები, ემბლემები, გთავაზობენ ათასგვარ საჭმელს, ხილს, მინერალურ, ხილეულ და საფირმო წყლებს. იყიდება სალეჟი რეზინები, და რა თქმა უნდა, არის ქალთა ტუალეტებიც.

ჩვენი სტადიონის მისადგომებთან „არალეგალურად“ ყიდიან მზესუმზირას და ძველ გაზეთებს. გაზეთებს კაცები ყიდულობენ, ზედ სხდებიან ან წვიმის დროს თავზე იფარებენ. მზესუმზირას კი დიდი სიამოვნებით აკნატუნებენ მატჩის დროს. როგორც მეუღლისაგან შევიტყვე, რაც ქართული ფეხბურთი არსებობს, თურმე ეს კერძო გამყიდველებიც არსებობენ, მაშასადამე ოფიციალურად უნდა გაიყიდოს სტადიონზე არა მარტო მზესუმზირა, არამედ გარეცხილი და დაფასოებული ხილიც.

ამბობენ „ქალები იმიტომ არ დადიან სტადიონზე, ეშინიათ შეურაცხყოფა არავინ მიაყენოსო“, ჩემი აზრით ეს არასწორი ინფორმაციაა. ხულიგნები ყველგან არიან და ალბათ არც სტადიონის ტრიბუნებია გამონაკლისი. იმ მატჩზე, რომელსაც მე დავესწარი, ჩემს ირგვლივ მსხდომ არც ერთ მამაკაცს გინება არ წამოსცდენია (თუმცა საკმაოდ დიდ ემოციებს ამჟღავნებდნენ გულშემატკივრობის დროს). მატჩის დამთავრების შემდეგ, ვერც გადატვირთულ ტრანსპორტში მოვახერხეთ ჩაჯდომა და ვერც მეტროში ჩავედით. სახლამდე საათნახევარი ფეხით ვიარეთ, დაღლილი, მშიერი და გასავათებული დავბრუნდით შინ.

მასალები მოამზადა **თ. ჰეიშვილმა.**

◆

(გაგრძელება იქნება).

გ. გვირჯიშვილის ნახატი.

მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობას

„პრავდის“ პრიზებზე

იპოდრომის ბილიკებზე

სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა მასობრივი შეჯიბრება მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში და დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის მასობრივი კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე, რომელიც კვირას თბილისის იპოდრომზე ერთიმეორის მიყოლებით გაიმართა. უამინდობის მიუხედავად ტურნირები ნამდვილ სპორტულ ზეიმად გადაიქცა.

სარაიონო კროსის მონაწილენი 3 ჯგუფად გაიყვნენ. უმაღლეს სასწავლებლებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებას მიაღწიეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნივერსიტეტისა და პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის კოლექტივები.

საშუალო სკოლების გუნდების შეჯიბრებაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ 52-ე სკოლის მძლეოსნები. მომდევნო ადგილები ერგოთ 123-ე და 128-ე საშუალო სკოლების მძლეოსნებს. ტექნიკუმებს შორის სულ 3 გუნდი იბრძოდა. ამ დავაში პირველობა ტოპოგრაფიული ტექნიკუმის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

„პრავდის“ კროსის სტარტზე რაიონის 500-მდე სპორტსმენი გამოვიდა. დისტანციების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: 1000 მეტრზე გოგონათა შეჯიბრებაში — ა. იაკიმოვამ — 3.46,0, 1500 მეტრზე — მ. კომსიდიმ (ორივე — 52-ე სკოლა) — 6.21,0, ქალიშვილთა შორის 2000 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მიიჭრა ზ. გუჩმაზოვა — 7.30,0, ხოლო ამავე მანძილზე უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრება მოიგო თ. ნარიმანიშვილმა — 7.52,0. ქალთა ასპარეზობა 3000 მეტრზე ი. ზარუბინას გამარჯვებით დასრულდა — 13.48,0 (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ვაჟთა 6-ვე გარბენის ტექნიკური შედეგები ასეთია: ბიჭები. 2000 მ— ს. კლიმოვი (52-ე სკოლა) — 7.17,0; ჭაბუკები. 3000 მ—გ. გოგშელიძე (123-ე სკოლა) — 9.35,0; იუნიორები. 3000 მ—ო. გივიშვილი (კულინარული სასწავლებელი) — 9.40,0; იუნიორები. 5000 მ— ზ. ჰუსეინოვი (სპი) — 18.45,0; ვაჟები. 5000 მ—ა. ვახანია (ფისკ.) — 16.55,0; ვაჟები, 8000 მ — ე. დათიკოევი (თსუ) — 26.55,0.

შედგა რაიონის ნაკრები, რომელიც 7 მარტს „პრავდის“ საქალაქო კროსში იასპარეზებს.

ქ. ჯიმშელაძე.

* * *

სურათებზე: გოგონები 1500 მეტრზე ასპარეზობისას; ბიჭების ერთი ჯგუფი 2000-მეტრიან დისტანციაზე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

დღეს ჩვენს ფეხბურთელებს მეოთხედფინალის პირველი მატჩები აქვთ ევროპის საკლუბო ტურნირებზე. მოსკოვის „სპარტაკი“ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ხვდება მადრიდის „რეალს“, ხოლო ჩვენი დინამოელები ლონდონში ეთამაშებიან „ვესტ ჰემ იუნაიტედს“.

წარმატებით ასპარეზობა ვუსურვოთ საბჭოთა ფეხბურთელებს!

მასპინძლობს თბილისი

გავიხარეთ თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა და ეგაა: ვნახავთ მადრიდის ცნობილი „რეალის“ მატჩს და თანაც ვნახავთ რაღაც უმნიშვნელო საგასტროლო ამხანაგურ მატჩში კი არა, არამედ უმაღლეს დონეზე, ტიტანთა ასპარეზზე—ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში.

ისეთი სუპერკლუბები, როგორიც „რეალია“, ამგვარი რანგის შეხვედრებში სასწორზე დებენ მთელ თავიანთ შესაძლებლობებს, პრესტიჟს, საქვეყნოზე გამოაქვთ საკუთარი საფეხბურთო ავლადიდება, „ანფასი“. წაგება მათ ძვირად უჯდებათ, ძალიან ძვირად. წაგებისას, ჩვეულებრივ, კლუბის გულშემატკივართა ნაწილი · სხვა, მოწინააღმდეგის ბანაკში გადაინაცვლებს ხოლმე. ღალატია ეს, მაგრამ რა ქნას ფეხბურთის მოყვარულმა — მას მოგება ურჩევნია წაგებას.

ჩემპიონთა თასის შემდგომ ეტაპზე გასვლა მადრიდელთათვის ახლა სანუკვარი მიზანია, ცისფერი ოცნება. ესპანეთის წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში, როგორც იცით, „რეალს“ ვერა აქვს მთლად სახარბიელოდ საქმე, ამიტომ კლუბი ხსნას ევროპულ ტურნირში ეძებს. ეძებს იქ, სადაც მან ოდესღაც, ათეული წლების წინ მიაღწია გაუგონარ წარმატებებს, როცა ხუთჯერ ზედიზედ ჩაიტანა შინ ჩემპიონთა თასი და მერე კიდევ ერთხელ შეასრულა ეს ტრადიციად ქცეული რიტუალი. მაგრამ უკანასკნელად ეს მოხდა 1966 წელს... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმ თასის ასლები ახლა „რეალის“ მუზეუმშია მოთავსებული ექსპონატად.

მაგრამ ასლი ვერასოდეს ვერ გასწევს ორიგინალობას, ორიგინალი კი 1966 წლიდან ხელიდან ხელში გადადის ისე, რომ „რეალს“ აღარც გაჰკარებია. დრონი იცვლებიან...

თუმცა „რეალი“ მუდამ „რეალია“, თასით ხელშიც და უმისოდაც. იგი იყო სუპერკლუბი მაშინაც, როცა მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ დი სტეფანო, ჰენტო, კოპა, სანტამარია, დიდი, სიმონსონი, დელ სოლი, სანჩესი და არის ახლაც, როცა ჯერ კიდევ მწყობრში დგანან კანინგჰემი, შტილიკე, სანტილიანა, რემონი, ხუანიტო... თანამედროვე ფეხბურთის დიდი ვარსკვლავები.

რატომ დაინიშნა ეს მატჩი თბილისში და არა სხვა რომელიმე ქალაქში? განა ნაკლები საფეხბურთო ამინდია ჩვენი ქვეყნის სამხრეთით, განა იქ არ სურთ იხილონ ამგვარი ნუგბარი რამ: „სპარტაკი“ — „რეალი“?

საკუთარ არგუმენტებს, ამ შემთხვევაში, ჯობს მოვიშველიოთ თვით მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **კ. ბესკოვის** სიტყვები:

— თბილისში ძალზე ხელსაყრელი კლიმატური პირობებია, შესანიშნავი სტადიონი, რომელიც შეესატყვისება ყველა არსებულ საერთაშორისო სტანდარტს, ფეხბურთზე შეყვარებული მაყურებლები, რომლებსაც საუკეთესოდ გაეგებათ ამ თამაშის ავ-კარგი. ამას გარდა, მოსკოვში ახლაც ხშირად იხსენებენ თუ როგორ თავგამოდებით ქომაგობდნენ თბილისელი მაყურებლები მოსკოვის დინამოელებს ნახევარფინალურ მატჩში თასების მფლობელთა თასზე ვენის „აუსტრიასთან“. მაშინ მოსკოველთა გამარჯვებაში გარკვეული როლი შეასრულეს თბილისელმა გულშემატკივრებმაც. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სპარტაკელთა მთელმა კოლექტივმა ეთამაშა თბილისში და მხოლოდ თბილისში.

რაღა დავუმატოთ კ. ბესკოვისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა ამ ერთსულოვან, ჩვენთვის მეტად სასიამოვნო გადაწყვეტილებას? ბატონი ბრძანდებით, თქვენ კარგად ითამაშეთ და თბილისური მხარდაჭერა და ქომაგობა, ხელშეწყობა და გამხნევება ჩვენზე იყოს. **ისე დავჭექოთ რომა!**

რატომაც არა? განა მოსკოვის „სპარტაკი“ ჩვენი ძველთაძველი სპორტული მეტოქე და მეგობარი არაა? ახლა შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ თბილისის დინამოელებმა ნამდვილი „სიმწიფის ატესტატი“ პირველად სწორედ სპარტაკელებთან ნათამაშევი მატჩების შემდეგ მიიღეს, ჩვენ კი „ბებრებს“ კარგად გვახსოვს 1936 წლის 16 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალური მატჩი მიმდინარეობდა მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. თამაშის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, წინ კი სპარტაკელები იყვნენ — 3:1. თბილისელებმა ამ მოკლე დროში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და საჭირო გახდა დამატებითი მატჩის დანიშვნა.

20 აგვისტოს, მეორე მატჩზე, სტადიონი ისე გაიჭედა მაყურებლებით, როგორც არასდროს. იგივე გამეორდა, ოღონდ როლები შეიცვალა: ჯერ დინამოელები დაწინაურდნენ — 3:1, თავი კი მასპინძლებმა იხსნეს — 3:3. დაინიშნა დამატებითი დრო. აქ კი თბილისელებმა იძალეს და პაიჭაძემ, ასლამაზოვმა და პანინმა კიდევ სამჯერ აიღეს „სპარტაკის“ კარი — 6:3. აი, სწორედ მაშინ დაიმსახურა თბილისის „დინამომ“ უმაღლესი ოსტატობის „პასპორტი“ და სამუდამოდ ჰპოვა მოსკოველ მაყურებელთა დიდი მოწონება.

არ დამავიწყდება განსვენებული შ. შავგულიძის მოგონება: „მეორე მატჩის დამატებითი დროის სათამაშოდ რომ გამოვდიოდით, სპარტაკელები დაქანცულნი ძლივს მოძრაობდნენ, ჩვენგან კი ვილაცამ მრავალჟამიერი წამოიწყო, რამდენიმე კაცი აჰყვა და ნიკოლოზ სტაროსტინმა გაოცებით მკითხა — „საიდან ჩამოიყვანე ეს გაუტეხელი ეშმაკები?“.

მახსოვს 1930-იანი წლების მეორე ნახევარი, როცა სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატი ჯერ არ არსებობდა და ფეხბურთს მოწყურებული საზოგადოებრიობა სხვადასხვაგვარი ამხანაგური მატჩების ხილვით იკლავდა ხვაშიადს. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვის „დინამო“, ხარკოვის ნაკრები, ლენინგრადის „დინამო“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“. სპარტაკელთა სტუმრობა იმ პერიოდში, რაღაც, არ მაგონდება.

მაგრამ კარგად მახსოვს მოსკოვის „სპარტაკის“ ჩამოსვლა თბილისში 1937 წლის შემოდგომაზე. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის მესამე მატჩი ამ ორ გუნდს შორის; 1936 წელს გაიმარჯვეს თბილისელებმა (მოსკოვში — 1:0), ხოლო 1937 წლის პირველ წრეში—სპარტაკელებმა (იქვე—2:0).

ვინ თამაშობდა მაშინ „სპარტაკში“, ვინ გამოვიდა თბილისის ახლადაგებული „დინამოს“ სტადიონის მინდორზე?

კარს იცავდა ანატოლი აკიმოვი. დაცვაში იყვნენ ალექსანდრე სტაროსტინი და ვიქტორ სოკოლოვი, ნახევარდაცვაში—სტანისლავ ლეუტა, ანდრეი სტაროსტინი და სერგეი არტემევი, თავდასხმაში — გიორგი გლაზკოვი, ვლადიმერ სტეპანოვი, ვიქტორ სემიონოვი (მარცხენა შუამარბი, უკაცრავად, ველარ გავიხსენე, მგონი, რუმიანცევი იყო) და პეტრე კორნილოვი.

აი, ასეთი თანავარსკვლავედი ჰყავდა მაშინ „სპარტაკს“. ახლა დინამოელები! ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, ვლადიმერ ჯორბენაძე, თენგიზ გავაშელი, ბორის ფროლოვი, გიორგი ჭუმბურიძე...

შესანიშნავი თამაში იყო. მოვიგეთ — 1:0.

მას მერეა ასე მჭიდროდ რომ დაუკავშირდნენ ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. შეგახსენებთ: ვლადისლავ ჟმელკოვი ერთ დროს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში და „სპარტაკში“ თამაშობდა, ვასილ სოკოლოვი თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი იყო, მოსკოვის „სპარტაკში“ გამოდიოდნენ მიხეილ პირაევი, ანზორ კავაზაშვილი, ნიკიტა სიმონიანი, სერგეი აპრესიანი, ვლადიკ დავთიანი... ყველანი ქართული ფეხბურთის სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ცოტა ხანს „სპარტაკში“ ანატოლი ბაბაშკინიც თამაშობდა, მან კი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში აიდგა ფეხი.

ახლა მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები? ახლა სერგეი შევცოვი, ქუთაისურად რომ უქცევს ქართულად ლაპარაკისას?

წლიდან წლამდე სათავეში ედგა მოსკოვის „სპარტაკი“ ჩვენს ფეხბურთს. ბრწყინვალე გუნდი გახლდათ. მერე მოხდა წარმოუდგენელი რამ: სპარტაკელებმა კატასტროფულად ცუდად ჩაატარეს 1976 წლის შემოდგომის ჩემპიონატი და... გამოეთხოვნენ უმაღლეს ლიგას. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. ატყდა მითქმა-მოთქმა, ბევრს ისიც ეწადა, რომ დირექტიული წესით დაეტოვებინათ „სპარტაკი“ უძლიერესთა რიგებში. ამ ნერვულ აჟიოტაჟში სიმშვიდე მხოლოდ სპარტაკელებმა შეინარჩუნეს. მათ კ. ბესკოვის მეთაურობით „მშვიდობიანად“ დაიკავეს პირველი ადგილი 1977 წელს I ლიგაში, 1978 წელს უმაღლეს ლიგაში V ადგილზე გავიდნენ, ხოლო 1979 წელს — ჩემპიონები გახდნენ.

„სპარტაკმა“ რომ მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო მეორე ეშელონში და ასე მალე დააღწია თავი მძიმე კრიზისს, მე მგონი, გასაკვირი არაა. ნამდვილ საფეხბურთო საოცრებად ის მიმაჩნია რა ძალებით, რა რესურსებით მიაღწია ამას კ. ბესკოვის გუნდმა. მან მეორე (თქვენ წარმოიდგინეთ — მეორე!) ლიგიდან „მოაქუჩა“ მოთამაშეები, რომელთა შესახებ მანამდე არავინ არაფერი იცოდა — რ. დასაევი, ო. რომანცევი, ს. შავლო, გ. იარცევი, ა. სოროკინი და სხვანი, დაუმატა კიდევ რამდენიმე, ვინც თითქოს ყოვლად უპერსპექტივო იყო უმაღლეს ლიგაში (მაგალითად, ო. გავრილოვი) და ასეთი გუნდით უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

იცით, რამდენი მატჩი ჰქონდა ნათამაშევი უმაღლეს ლიგაში ზოგიერთ სპარტაკელს 1978 წელს? ვ. ხიდიატულინს — 3, ო. რომანცევს — 2, გ. იარცევს—1, რ. დასაევს, ფ. ჩერენკოვს, ს. შავლოს, ა. სოროკინს...0. ისინი კი ერთი წლის შემდეგ ჩემპიონები გახდნენ! ასეთია „სპარტაკი“!

ჩვენ სულითა და გულით გვწადია სპარტაკელებმა წარმატებით ითამაშონ „რეალთან“ და მხარდაჭერასაც არ მოვაკლებთ მათ. მით უმეტეს, რომ გუნდს ახლა გარკვეული სიძნელეები, პრობლემები აქვს: მას წლეულს ერთბაშად 6 მოთამაშე გამოაკლდა, მათ შორის ხიდიატულინი, იარცევი, სოროკინი, კოკორევი და სხვანი.

მაშ ასე: თბილისი თბილისურად მასპინძლობს „სპარტაკს“.

გ. ქორქია.

შეგახსენებთ:

● ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი 27 მაისს გაიმართება პარიზში.

● თასების მფლობელთა თასის ფინალისტები უფრო ადრე, 13 მაისს, ითამაშებენ დასავლეთ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში.

● უეფა-ს თასის ფინალში, როგორც ყოველთვის, 2 მატჩია — შინ და გასვლაზე. გამარჯვებული გამოირკვევა ამ მატჩების ჯამით.

გზა მეოთხედფინალამდე

მოსკოვის „სპარტაკის“ პირველი მეტოქე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე იყო ლუქსემბურგის „ჟენეს ეში“. სპარტაკელებმა მეთექვსმეტედ ფინალის პირველი მატჩი გასვლაზე მოიგეს ანგარიშით 5:0, მერე კი შინ კიდევ 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

მერვედფინალში მოსკოველებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს დანიის „ესბიერგთან“, მერე თუმცა გასვლითი მატჩი წააგეს (0:2) და ორი მატჩის ჯამში გავიდნენ მეოთხედფინალში.

მადრიდის „რეალმა“ მეთექვსმეტედფინალში სტუმრად მოუგო ირლანდიის „ლიმერიკს“ — 2:1, შინ კი განიმტკიცა გამარჯვება — 5:1.

მერვედფინალში მადრიდელთა მეტოქე იყო ბუდაპეშტის „ჰონვედი“. ესპანელებმა ორივე თამაში მოიგეს — 1:0 და 2:0.

Real Madrid Club de Futbol
Madrid

მატჩის წინ

...სასტუმრო „ივერიის“ მთავარ ჰოლში მილეთის ხალხი ირევა. მათ შორის ადვილად გამოარჩევთ ელეგანტურ შავგრემან ახალგაზრდებს, რომლებიც ნამდვილ სამხრეთულ გულღიაობასა და ცნობისმოყვარეობას იჩენენ ყველაფრის მიმართ, ხალისით პასუხობენ ყოველ კითხვაზე.

ეს მადრიდის საქვეყნოდ ცნობილი გუნდის „რეალის“ ფეხბურთელებია. მათთან ერთად არიან ხელმძღვანელებიც.

„რეალის“ მენაჯერმა **მანუელ ფერნანდეს ტრიგომ** აქვე სასტუმროს ჰოლში გამართულ სახელდახელო პრეს-კონფერენციაზე გვითხრა:

— თბილისში 17 ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ, მათ შორის არ არის ინგლისელი კანინგჰემი, რომელიც გამომგზავრების წინ დაშავდა და მკურნალობს. ჩვენთან ერთად საჰაერო რეისით — მადრიდი-ათენი-თბილისი 17 ტელეკომენტატორი და ჟურნალისტი ჩამოფრინდა, რომლებიც მატჩს გააშუქებენ. მათს გარდა ჩვენს დელეგაციაში 70 ტურისტიც შედის.

— რომელიმე თქვენგანი ადრე თუ ყოფილა თბილისში?

— არავინ.

— რა იცით საბჭოთა ფეხბურთსა და, კერძოდ, მოსკოვის „სპარტაკის“ შესახებ?

— საბჭოთა ფეხბურთს მთელს მსოფლიოში იცნობენ, მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ჩვენი მეტოქე, მაგრამ სადღეისოდ „სპარტაკის“ შესახებ არავითარი კონკრეტული ცნობა არ მოგვეპოვება.

— მაშ, ინტერვიუერის როლს ჩვენ ვიკისრებთ. — ხუმრობით უთხრა მენაჯერს ერთ-ერთმა ჩვენგანმა. — გვკითხეთ რა გაინტერესებთ „სპარტაკის“ შესახებ.

— ხვალ ჩვენს წინააღმდეგ დასაევი და შავლო თუ გამოვლენ?

— შავლოსი რა მოგახსენოთ, ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ, რაც შეეხება მეკარე დასაევს, მან 15 იანვარს აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და მხოლოდ ახლახან შეუდგა ვარჯიშს.

თბილისელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აგრეთვე, ფეხბურთელთა შორის ვინმე ბასკი თუ არის, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღეს.

— კმაყოფილი ხართ თუ არა წილისყრით, რომელმაც ტურნირის ამ ეტაპზე მოსკოვის „სპარტაკთან“ შეგახვედრათ?

— ძალიან. სხვა მეტოქეს არ ვისურვებდით...

— წმინდა სატურნირო თვალსაზრისის გარდა სხვა რაიმე მნიშვნელობას თუ ანიჭებთ ხვალინდელ მატჩს?

— ყოველი შეხვედრა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბისაა, რაღაც სიახლეს გვპირდება, თუ ამ მხრივაც გაგვიმართლა, ვფიქრობ ამით პირველ რიგში ეს პოპულარული თამაში მოიგებს... ისე რომ, ხვალინდელი შედეგით არც ერთ მხარეს არ უნდა დაწყდეს გული.

— ადრე „რეალის“ ღირსებას იცავდნენ ისეთი „გრანდები“, როგორიც იყვნენ დი სტეფანო, ჰენტო, კოპა და სხვანი. სწორედ მათ მოუტანეს თქვენს კლუბს საყოველთაო აღიარება. „გადამდგარ ვარსკვლავებს“ ახლა რა ურთიერთობა აქვთ „რეალთან“.

— მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ ჩვენთან. ისინი გუნდის ახლანდელი ახალგაზრდების ხშირი სტუმრები არიან. ბევრი მათგანი კვლავ კლუბის წევრია.

— თუ საიდუმლო არაა, რა შემადგენლობით გამოვა ხვალ „რეალი“ სათამაშოდ?

— ბატონი ბრძანდებით. — გვითხრა გუნდის მენაჯერმა და თავადვე ჩამოგვიწერა გუნდის სავარაუდო შემადგენლობა: რემონი, გორტესი, კამაჩო, გალიეგო, მარტინი, ფერნანდესი, გონზალესი, კანო, სანტილიანა, შტილიკე, გარსია.

უ. ჭიჭინაძე.

დღეს თამაშობენ:

ჩემპიონთა თასზე თბილისში ხვდებიან მოსკოვის „სპარტაკი“ და მადრიდის „რეალი“. სხვა წყვილები ასეთია:

„ბაიერნი“ (გფრ) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია)

„ლივერპული“ (ინგლისი) — ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი)

„ინტერი“ (იტალია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)

თასების მფლობელთა თასზე თბილისის დინამოელები ლონდონში ხვდებიან იქაურ „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. სხვა წყვილები:

„ფორტუნა“ (გფრ) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)

„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „სლავია“ (ბულგარეთი)

„კარლ ცაისი“ (გდრ) — „ნიუპორტი“ (უელსი)

მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობას

სეანსი 1000 დაფაზე

სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი ოთხი გუნდის მატჩ-ტურნირის დამთავრების შემდეგ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქის სხვადასხვა ქალაქში 40 დიდოსტატი და ოსტატი 1000 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ნორჩ მოჭადრაკეებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონების მ. ჩიბურდანიძისა და ა. კარპოვის სეანსებმა. ჩიბურდანიძის მეტოქე გოგონები 21 პარტიაში დამარცხდნენ და ოთხში ყაიმს მიაღწიეს. კარპოვმა მოიგო 15 პარტია, ოთხი ყაიმით დაამთავრა და ერთი (რიაზანელ მეშვიდეკლასელ ს. სისოევთან) წააგო.

ახალგაზრდა დიდოსტატის გ. კასპაროვის მეტოქეები დიდოსტატ ე. გელერის სკოლის აღსაზრდელები იყვნენ. 25 მოჭადრაკიდან—10 ოსტატობის კანდიდატი. ბაქოელმა გაიმარჯვა 15 პარტიაში, ექვსში დაუზავდა მეტოქეს და ოთხი წააგო.

დიდი აღმავლობით ჩაატარა სეანსი უხუცესმა დიდოსტატმა, 73 წლის ს. ფლორმა, რომელმაც ყველა, 25 პარტია მოიგო.

● ჭადრაკი

დიდოსტატები დიდოსტატებად რჩებიან

დაიწყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ქალთა სპარტაკიადა, რომელიც 8 მარტის დღესასწაულს ეძღვნება. ჭადრაკის სასახლეში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა გუნდების შეჯიბრება. მონაწილენი (10 გუნდი, თითოეულში 3 მოჭადრაკე, მათგან ერთი სათადარიგო) ორ ქვეჯგუფში განაწილდნენ.

I ქვეჯგუფში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს, რომლის შემადგენლობაში არიან დიდოსტატები ნ. იოსელიანი, ნ. გურიელი და ოსტატი ქ. მელაშვილი, ტოლი ვერავინ დაუდო. უნივერსიტეტელებმა ყველა მატჩი „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოიგეს. II ადგილზე გავიდა უცხო ენათა ინსტიტუტის ნაკრები (ქ. გაჩეჩილაძე, ნ. ხუბულური, მ. ხანთაძე) — 8,5 ქულა. შემდეგ არიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის — 5,5, ზოოვეტერინალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის გუნდები — 2-2.

II ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა სამედიცინო ინსტიტუტის ნაკრებმა (ნ. ჩხაიძე, თ. კაჭარავა, მ. ილურიძე) — 10 ქულა, II —პედაგოგიურმა ინსტიტუმა (რ. გეგიძე, ნ. გოგია, ნ. გუგეშაშვილი) —9. შემდეგ მოდიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 8, სამხატვრო აკადემია — 2,5, თეატრალური ინსტიტუტი — 0,5.

გუშინწინ გაიმართა ფინალური შეხვედრები. I ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდები. გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა — 3:0.

III ადგილზეა უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც მოუგო პედინსტიტუტის გუნდს — 2:1.

გ. ფამილიანტი,

თბილისის ჭადრაკის სახლის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საპედინსტიტ. ინსტ.
უცხოენათა ინსტ.

* * *

სურათზე: მოჭადრაკეთა ასპარეზობა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მ. ვ. შიშოვი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი მიხეილ ვასილის ძე შიშოვი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაცია-განვითარებას.

იგი დაიბადა თბილისში 1910 წლის 2 დეკემბერს, მუშის ოჯახში. 15 წლისამ ჭადრაკს ჭაშნიკი აუღო, გულით შეიყვარა და ბოლომდე უერთგულა მას.

ნამდვილი წარმატებები მას ჰქონდა 40-იან და 50-იან წლებში, როდესაც დიდი გატაცებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო მნიშვნელობის ტურნირებში. 1944 წელს მ. შიშოვი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. შემდეგ ეს საპატიო წოდება კიდევ ოთხჯერ — 1946, 1952, 1955 და 1956 წლებში მოიპოვა. ორჯერ თბილისის ჩემპიონიც იყო.

1951 წელს, თბილისში, საქართველოს მოჭადრაკეთაგან მან მესამემ მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. მიხეილ შიშოვი დიდხანს საქართველოს ნაკრები გუნდის ბურჯი იყო, მონაწილეობდა სსრ კავშირის გუნდურ პირველობებსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, გამოირჩეოდა თამაშის დარბაისლური სტილით, თეორიის ღრმა ცოდნით.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მიხეილ შიშოვს ახალგაზრდა მოჭადრაკეების აღზრდის საქმეში. თითქმის 40 წლის მანძილზე, სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა იგი ჭადრაკის წრეს ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახლში და ნაყოფიერი მუშაობისათვის „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით იყო დაჯილდოებული. თავის მასწავლებელ ვ. გოგლიძესთან ერთად მუშაობდა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში, წლების მანძილზე იყო საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

მიხეილ შიშოვმა 70-იან წლებში ჭადრაკის სიბრძნეს აზიარა პირველი ქართველი დიდოსტატი ბ. გურგენიძე. 1957-1965 წლებში იგი მხარში ედგა ნ. გაფრინდაშვილს. სწორედ ამ პერიოდში სახიქადულო დიდოსტატმა ქალმა ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1973-1976 წლებში ღვაწლმოსილი მწვრთნელი მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონს მ. ჩიბურდანიძეს.

ამაგდარ კაცს დაუფასდა დიდი შრომა: მას მიენიჭა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

მიხეილ შიშოვი ლიტერატორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, წერდა ლექსებს. მოჭადრაკეებს კი დაუტოვა წიგნი „დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე“ (1962 წ.), რომელიც პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვების დღიურს წარმოადგენს.

მიხეილ შიშოვი იყო უაღრესად კეთილი, კაცთმოყვარე და მშრომელი ადამიანი. მადლიერმა ხალხმა შარშან დეკემბერში მისი დაბადების 70 და საჭადრაკო მოღვაწეობის 50 წლისთავი ზეიმით აღნიშნა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, ქართული საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოამაგე, ქართულ მიწაზე შეუვარებული კაცი, რომლის ნათელი სახე და ხსოვნა დიდხანს გაჰყვება მის მეგობრებს, კოლეგებს, ხოლო ნამოღვაწარი მტკიცედ დამკვიდრდება ქართული ჭადრაკის ისტორიაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია.

სსრ კავშირის თასზე

სსრ კავშირის თასის მატჩში მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 2 მარტს შინ, „ოლიმპიურის“ დახურულ დარბაზში, ანგარიშით 2:0 დაამარცხეს კიევის არმიელები.

ბოლო ტურის წინ მდგომარეობა ზონებში ასეთია:

I ზონა. „დინამო“ (კიევი) — 7 ქულა, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — 6, „კარპატი“ (ლვოვი) — 5 „პრიკარპატიე“ — 4, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 2, „ხიმიკი“ (გროდნო) — 0.

II ზონა. „შახტიორი“ (დონეცკი) — 6, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — 5, „კუზბასი“ (კემეროვო) — 3, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — 2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 0.

III ზონა. აქ გათამაშება დამთავრდა. გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ისკრა“ სმ.	5	3	1	1	9—5	7
„ზენიტი“ ლ.	5	3	1	1	18—9	7
„ნეფთჩი“ ბ.	5	2	2	1	9—8	6
„ტორპედო“ ქ.	5	1	3	1	5—11	5
„ზარია“ ვ.	5	1	2	2	6—7	4
ასკ ხ.	5	0	1	4	3—10	1

IV ზონა. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „დინამო“ (მინსკი), „გურია“ (ლანჩხუთი) — 4-4, „დინამო“ (სტავროპოლი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 2-2.

V ზონა. ცსკა — 8, „დინამო“ (მოსკოვი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — 5-5, „შინიკი“ (იაროსლავლი) — 4, „ტორპედო“ (ტოლიატი), ასკ (კიევი) — 0.

VI ზონა. „პამირი“ (დუშანბე) — 7, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)— 6, „დინამო“ (სამარყანდი), ასკ (როსტოვი) — 4-4, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — 2, „ბუსტონი“ (ჯიზაკი) — 1.

VII ზონა. „ტავრია“ (სიმფეროპოლი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — 6-6, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 5, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — 1, „დინამო“ (ბარნაული) — 0.

VIII ზონა. „არარატი“ (ერევანი), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — 6-6, „ტორპედო“ (მოსკოვი), ასკ (ოდესა) — 4-4, „როტორი“ (ვოლგოგრადი), „სპარტაკი“ (კოსტრომა) — 2-2.

მსოფლიო ჩემპიონატი

VI ჯგუფი

შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გასვლითი მატჩის მოგება ისრაელის ნაკრებთან — 1:0. ერთადერთი ბურთი 54-ე წუთზე გაიტანა დალგლიშმა, რომელიც ინგლისის „ლივერპულში“ გამოდის.

გათამაშების ცხრილი VI ჯგუფში სადღეისოდ ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუგალია	3	2	1	0	4—0	5
შოტლანდია	3	2	1	0	2—0	5
ჩრ. ირლანდია	3	1	1	1	3—1	3
ისრაელი	5	0	3	2	1—5	3
შვეცია	4	0	2	2	1—5	2

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩში გაფრთხილებულია სამტრედიელი დემეტრაშვილი. ლანჩხუთის „გურიისა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრაში გააფრთხილეს მინსკელი პუდიშევი.

სულ განვლილ ტურში გაფრთხილებულია 10 ფეხბურთელი.

ქუთაისელი ჭაბუკის წარმატება

ხარკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ძიუდოში 1964-65 წლებში დაბადებულთა შორის. წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა ა. გუბელაძემ („დინამო“), რომელმაც დაამარცხა ყველა მეტოქე და მძიმე წონის ძიუდოისტთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 220 სპორტსმენი.

● სამბო

საბჭოთა სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს მადრიდში გამართულ სამბისტთა V მსოფლიო ჩემპიონატზე — 7 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი და გუნდური პირველობა მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ: მოსკოველები ა. ხოდირევი (48 კგ) და ვ. ასტახოვი (57), ფრუნზელი მ. ხალიევი (52), ერევნელი გ. ოჰანესიანი (62), ლვოველი მ. ლივიცკი (68), ვლადიმირელი გ. მალენკინი (100 კგ) და მძიმე წონის ანდიჯანელი ვ. სობოდირევი, სხვა წონებში გაიმარჯვეს მონგოლებმა დავადავანმა (74 კგ) და ძენდაულინმა (90), აგრეთვე, ესპანელმა ხ.-ა. სეჩინმა (82).

● ცურვა

ჰალეში გამართული სსრ კავშირისა და გდრ-ის ნორჩ მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 174:170.

ამგვარი შეხვედრა მეოთხედ ჩატარდა და საბჭოთა მოცურავეებმა მესამედ გაიმარჯვეს. ამჯერად შეჯიბრებაში გოგონათა შორის საუკეთესო იყო მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი ა. ზონენბროდტი, რომელმაც გაიმარჯვა თავისუფალი სტილით ცურვის ყველა დისტანციაზე.

● სპარტაკიადა

კემეროვოში გრძელდება რსფსრ-ს VII ზამთრის სპარტაკიადა. 30 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში წარმატებას მიაღწია ქვეყნის ნაკრების წევრმა ნ. ბაჟუკოვმა (კომის ასსრ) — 1 : 30.07,61.

● ციგურები

ელვერუმში გაიმართა იუნიორ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენმა ს. კოროლიოვმა ოქროს მედლები მოიგო 3000 (4.22,32) და 5000 მეტრზე (7.28,09) რბენაში, ხოლო 1500 მეტრზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. აქ მას აჯობა ჰ. მედემანმა (გდრ).

● ტრამპლინიდან ხტომა

შამონის (საფრანგეთი) 70-მეტრიან ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. წარმატებას მიაღწია რ. რუდმა (ნორვეგია), რომელიც 91 და 89,5 მეტრზე გადახტა (248,1 ქულა). მისი თანამემამულე ო.-ე. ბიოგსეტი II ადგილზე გავიდა — 242,7 (ნახტომები 87 და 91,5 მ).

პანორამა

● უნივერსიადა

ესპანეთის ქალაქ ხაკას მიდამოებში დასასრულს უახლოვდება ზამთრის მსოფლიო უნივერსიადა. ამ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს 19 მედალი. მათ შორის 9 ოქროსი. გუშინ გიგანტურ სლალომში ჩემპიონი გახდა ბ. ზემანი (ჩეხოსლოვაკია). ქალების 10 კილომეტრზე რბოლაში წარმატებას მიაღწია მისმა თანამემამულემ კ. ერიოვამ. „ბრინჯაო“ ხვდა ლ. ზაბოლოტსკის (მოსკოვის ოლქი), რომელმაც რამდენიმე დღის წინ 5 კილომეტრზე ასპარეზობა მოიგო, ვაჟების 30 კილომეტრზე რბენაში კიეველმა ა. კოზელმა და მოსკოველმა ა. კუტუკინმა II და III ადგილები დაიკავეს. ჩემპიონი გახდა ი. ლებანოვი (ბულგარეთი).

● კალათბურთი

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 26 მაისს ჩეხოსლოვაკიაში დაიწყება, 12 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ. ჯერჯერობით ცნობილია 8 მონაწილის ვინაობა (სსრ კავშირი, იუგოსლავია, იტალია, პოლონეთი, ისრაელი, ესპანეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია) დანარჩენი 4 გუნდი კი საკვალიფიკაციო-შესარჩევი თამაშების შემდეგ გაირკვევა.

უკვე დაიწყო ბილეთების გაყიდვა, გამოცემულია პლაკატები, სარეკლამო ლიტერატურა, დამზადებულია სამკერდე ნიშნები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 02098